MES 7 20 0000875055

22/09/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 08.09.2020
სხდომის დაწყების დრო: 16:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 19:20 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ირაკლი ბურდული
სხდომისმდივანი:ნიკა თიკანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **1. ირაკლი ბურდული**-სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს "სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კევლიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
6. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
7. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი;
8. **პაატა ბრეკაშვილი** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლის დეკანი;

9. **ირმა წერეთელი-** გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;
10. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი;
11. **ნიკოლოზ კიკნაძე** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;
12. **ზურაბ ორჯონიკიძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხალმძღვანელი, პროფესორი;
13. **ზურაბ გვიშიანი** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი მოვალეობის შემსრულებელი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ნინო სარჯველაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

აკრედიტაციის ექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ნანი არაბული	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	მიხეილ რუხაია	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ზურაბ ბოსიკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	ლერი შარაშენიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	ლელა ბახტაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	ლელა ფირილაშვილი	(ჩაერთო ,,ზუმით“)	III
7	ქეთევან ქავთარაძე	(ჩაერთო ,,ზუმით)	III

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4

პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ინფორმაციული სისტემების მართვა - DevOps"-ის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საზოგადოებასთან ურთიერთობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტისა და ინდუსტრიული პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „კომპიუტერული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

5. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის "საბანკო საქმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

საბჭოს წევრთა ინიციატივით, მიზანშეწონილად მიიჩნიეს დღის წესრიგის პროექტში ცვლილებების შეტანა და დაამტკიცეს შემდეგი სახით:

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნოახალი დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ინფორმაციული სისტემების მართვა - DevOps"-ის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2.შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის "საბანკო საქმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საზოგადოებასთან ურთიერთობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ტექნოლოგიური პროექტების მენეჯმენტისა და ინდუსტრიული პოლიტიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „კომპიუტერული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა აღნიშნული დღის წესრიგი

1. პირველი საკითხი: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ინფორმაციული სისტემების მართვა - DevOps“-ის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმაციული სისტემების მართვა- DevOps
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმაციული სისტემების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	
12	კვალიფიკაციის კოდი	0613
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
15	განხორციელების ადგილი	ჭავჭავაძის გამზ, #82, თბილისი, 0612, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 14 ივლისს. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით. გაიმართა შეხვედრები: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; თვითშეფასების ჯგუფთან; უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; პროგრამის ხელმძღვანელებთან; აკადემიურ პერსონალთან; მოწვეულ ლექტორებთან; IT მიმართულების საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებთან; ბიზნეს ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებთან; დამსაქმებლებთან. ვიზიტის დროს მოხდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება: ბიბლიოთეკა, აუდიტორიები, ლაბორატორიები. ვიზიტის დასასრულს დაწესებულების წარმომადგენლებს წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ინფორმაციული სისტემების მართვა - DevOps“-ის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ: 1.2, 2.5, 2.6, 3.1, 3.2, 4.3, 5.1, 5.2 და 5.3 შესაბამისობაშია, 2.1, 2.3, 2.4, 4.2 და 4.4. მეტწილად შესაბამისობაშია, ხოლო 1.1, 2.2 და 4.1 ნაწილობრივ შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან და მიზნებიდან გამომდინარე ექსპერტებმა შეიმუშავეს გარკვეული რეკომენდაციები, კერძოდ:

1. პროგრამის მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისათვის პროგრამის შინაარსის გაძლიერება კვლევითი კომპონენტებით და თეორიული საკითხებით;
2. ტესტი სპეციალობაში გაძლიერდეს და LINUX და Python საკითხები მოეთხოვოს სიღრმისეულად. ასევე დაემატოს სერვისებისა და ღრუბლოვანი გამოთვლების საფუძვლების საკითხებიც;
3. სასწავლო კურსებში ჩაემატოს თემატიკები თეორიული მოდელების და მოდელების შედარებების და შეფასებების შესახებ;
4. სამაგისტრო ნაშრომის 30 კრედიტით გაზრდა და შესაბამისად საკონტაქტო საათების გაზრდა ;
5. სასწავლო კურსი „პრაქტიკა“ გადატანილ იქნას მეოთხედან მესამე სემესტრში. გადაერქვას/დაზუსტდეს სახელი და გახდეს ან ყველასთვის სავალდებულო, ან ყველასთვის არჩევითი;
6. დაემატოს სავალდებულო თეორიული საგნები მოდელების აგების შესახებ, მაგ. „ოპერაციათა კვლევა“;

7. სასწავლო კურსების შინაარსი გაძლიერდეს თეორიული და კვლევითი საკითხებით სწავლების საფეხურის შესაბამისად;
8. სასწავლო კურსში "ღრუბლოვანი სისტემების ორკესტრაცია (AWS)" დაემატოს სხვა ღრუბლოვანი სისტემების ანალიზიც;
9. კურსი "ვერსიონირება და უწყვეტი ინტეგრაცია" მიეთითოს ლიტერატურის გამოშვების თარიღები;
10. კურს "არარელაციურ მონაცემთა ბაზების სისტემები (MongoDb)" დაემატოს წინაპირობა „javascript-ის ფრეიმვორკებთან მუშაობის" ცოდნა;
11. სასწავლო კურსი "კვლევის მეთოდების" საკითხები ორიენტირებული იყოს თუ როგორ ჩატარდეს კვლევა;
12. სასწავლო კურსში "მონიტორინგის სისტემები" დაემატოს მონიტორინგის სისტემების ანალიზი და შედარება და ასევე მიეთითოს ლიტერატურას გამოშვების წლები;
13. სასწავლო კურსებში ტერმინი „ავტომატური სისტემები" ჩანაცვლდეს „ავტომატიზებული სისტემებით";
14. სასწავლო კურსში "პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტების მართვა" სრულად გაიშალოს ტერმინი - „პროდუქტის სტრატეგია";
15. სილაბუსებში დასაბუთდეს დამოუკიდებელი მუშაობის საათების შესაბამისობა მის რაოდენობასთან, მაგ. დაემატოს დავალებები, საკურსო პროექტები და სხვა;
16. უდს-მ უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მოთხოვნებიდან გამომდინარე პროგრამაში გააძლიეროს თეორიული და კვლევითი მიმართულება, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტების სამეცნიერო/კვლევითი უნარების განვითარებას და მათ ჩართვას კვლევით პროექტებში;
17. მოწვეული პერსონალის შერჩევისას გათვალისწინებული იქნას მათი სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობა;
18. უსდ-მ უზრუნველყოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხარდაჭერა სამეცნიერო აქტივობის მიმართულებით. ხელი შეუწყოს დარგობრივი პერსონალის განვითარებას კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში მონაწილეობის მისაღებად საჭირო რესურსების უზრუნველყოფით;
19. ბიუჯეტში დაემატოს კვლევითი კომპონენტის დაფინანსება და აკადემიური პერსონალისა და მაგისტრანტების შრომების წახალისება/მივლინების ხარჯები.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციების უმეტესობა გათვალისწინებულია და მოხდა გარკვეული ცვლილებების შეტანა პროგრამაში.

პროგრამის ხელმძღვანელმა ისაუბრა ცალკეულ რეკომენდაციებზე, კერძოდ, მე-6 რეკომენდაციასთან დაკავშრებით მან განმარტა, რომ დაწესებულება ნაწილობრივ იზიარებს აღნიშნულ რეკომენდაციას და თვლის, რომ სავალდებულო კურსის დამატება არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან:

1. პროგრამით დაგეგმილი შედეგების მიღწევა სრულიად უზრუნველყოფილია პროგრამის არსებული სავალდებულო კომპონენტებით;
2. დამატებითი სავალდებულო კურსის შეტანა გამოიწვევს არჩევითობის შემცირებას, იმის გათვალისწინებით, რომ სავალდებულო კომპონენტის - სამაგისტრო ნაშრომის კრედიტების რაოდენობაც იზრდება.

შესაბამისად, ,,ოპერაციათა კვლევა კომპიუტერულ ტექნოლოგიებში" პროგრამაში დაემატება არჩევითი სასწავლო კურსის სახით.

მე-8 რეკომენდაციასაც დაწესებულება ნაწილობრივ ეთანხმება, კერძოდ, კურსის დასაწყისში დაემატება სხვა მომწოდებლის სერვისების მიმოხილვა, ხოლო სწავლებისას მოხდება პარალელების გავლება სხვა მსგავს სისტემებთან, როგორიცაა Google, Cloud და Microsoft Azure.

კურსის სახელი(AWS) უკვე გულისხმობს, რომ კურსი მთლიანად აგებულია კონკრეტულად ამაზონის ღრუბლოვან ვებ სერვისებზე. უნივერსიტეტი ოფიციალურად გაწევრიანებულია და ჩართულია ამაზონის სასწავლო პროგრამაში - Amazon Educate, რომლის ფარგლებშიც ხდება წვდომა ღრუბლოვან, სერვერულ და საგანმანათლებლო სივრცეებზე.
მე-10 რეკომენდაციასთან მიმართებით პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ დაწესებულება ნაწილობრივ ეთანხმება მოცემულ რეკომენდაციას, კერძოდ, „javascript-ის ფრეიმვორკებთან მუშაობის“ ცოდნა კურს წინაპირობად ვერ დაემატება, თუმცა, აღნიშნულ კურსში javascript-ის ფრეიმვორქებით ვებ-აპლიკაციების შექმნის საკითხების შესწავლას დაემატება საათების რაოდენობა.
რაც შეეხება მე-18 რეკომენდაციას, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ ბტუ სისტემურად მუშაობდა აღნიშნული მიმართულებით. პერსონალის საქმიანობის მხარდაჭერა არის დაწესებულების განვითარების სტრატეგიულ გეგმაში, რომლის შესრულება მოწმდება შიდა მონიტორინგის გზით, ყოველ წელს კვარტალურად, შესაბამისი ანგარიშების მომზადებით და გეგმის შესრულების შეფასებით სხვადასხვა კრიტერიუმების გამოყენებით. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს ექსპერტთა მიერ საკითხთან დაკავშირებული ინფორმაცია არ იყო მოთხოვნილი, რამაც საბოლოოს განაპირობა დასკვნის პროექტში მოცემული რეკომენდაციის არსებობა.
დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა მე-19 რეკომენდაციაზე და აღნიშნა, რომ ხარჯები დაწესებულების ბიუჯეტში გათვალიწინებულია. ამავე დროს, პროგრამის ბიუჯეტში იქნება გათვალისწინებული პროგრამის, მათ შორის პერსონალის განვითარების ხარჯები.
დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრე 4.1 სტანდარტთა მიმართებით ექსპერტთა მიგნებებზე და განმარტა, რომ აკადემიური პერსონალი მიმდინარე კვლევებში ვერ ჩართავდა მაგისტრანტებს, მაგისტრანტების არარსებობის გამო, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ პროგრამა ახალია. გარდა ამისა, პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 6 აკადემიური პერსონალი, საიდანაც არა 2 , როგორც ექსპერტთა დასკვნაში იყო მოცემული, არამედ 5 არის ჩართული კვლევით საქმიანობაში. დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებულია კვლევების განვითარების სტრატეგია და ინფორმაცია განხორციელებული და დაგეგმილი კვლევების შესახებ, საიდანაც დგინდება, რომ 2019 წელს შესრულდა 25 კვლევა, მათ შორის პროგრამის პერსონალის მიერ; მიმდინარეობს 10, ხოლო დაგეგმილია 8 კვლევის განხორციელება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არასწორად აქვთ ექსპერტებს ასახული აღნიშნული ინფორმაცია.
დაწესებულების ხარისხის სამსახურის უფროსმა ასევე ისაუბრა 1.1 ქვესტანდარტთან მიმართებით არსებულ ექსპერტთა მოსაზრებაზე, რის მიხედვითაც, ეჭვქვეშ დგებოდა კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა შრომის ბაზარზე. აღსანიშნავია, რომ არც პროგრამის შემუშავებაში და არც პროგრამის შეფასებაში მონაწილე დარგობრივ ორგანიზაციებს ეჭვქვეშ არ დაუყენებიათ შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის შესაძლებლობა. აღნიშნულში დარწმუნება ექსპერტებს შეეძლოთ ვიზიტის დროს დამსაქმებელთან შეხვედრის ფორმატში. ასევე გასათვალისწინებელია, რომ:
1. შესწავლის და გათვალისწინებულ იქნა ბტუ-ს პროგრამის და საერთაშორისო ბაზარზე არსებულ ანალოგიურ პროგრამებთან თანაკვეთა;
2. პროგრამის დაგეგმვისას შესწავლილ იქნა უცხოეთის სხვადასხვა ქვეყნებში და 150-მდე კომპანიაში არსებული საჭიროებები, რაც შემდგომ აისახა პროგრამის მიზნებში და დაგეგმილ შედეგებში;
3. გამოიკითხა და პროგრამის შემუშავებაში მონაწილოება მიიღო 20-მა დარგობრივმა კომპანიამ და დარგის სპეციალისტებმა. პროგრამის დასრულების შემდეგ, შეფასებისთვის პროგრამა გადაეგზავნა 10 დაწესებულებას, რომელიც არ არის აფილირებული ბტუსთან.
4. ჩატარდა პროგრამის სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა პოტენციური დამსაქმებლების მოსაზრებებისა და მოლოდინების შესწავლა, დამსაქმებლებისთვის მნიშვნელოვანი უნარების იდენტიფიცირებისა და გათვალისწინების მიზნით;

5. პროგრამა დადებითად შეფასდა ყველა იმ დარგობრივი ორგანიზაციის მიერ, რომლებსაც პროგრამა გადაეცათ დარგში არსებულ მოთხოვნებთან დადგენის მიზნით.
აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებას არ მიაჩნია რელევანტურად 1.1 ქვესტანდარტის ნაწილობრივ შესაბამისად, მთლიანად სტანდარტის კი მეტწილად შესაბამისად შეფასება შესაბამისი დასაბუთების გარეშე.
დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ასევე იმ რეკომენდაციებზე, რომლებიც მათი აზრით უმჯობესი იქნებოდა თუკი რჩევის სახით იქნებოდა მიცემული ექსპერტების მიერ. მაგ: მე-2 სტანდარტის პირველი პუნქტი, რომელიც ეხება პროგრამაზე დაშვების წინაპირობას. წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა, რომ მეთოდოლოგიაში წინასწარაა იდენტიფიცირებული ის უნარები, რომლებიც ხელს შეუწყობს ამ პროგრამის ათვისებას. თავად ექსპერტემბა აღწერეს აღნიშნული მექანიზმი და აღნიშნეს, რომ ეს მექანიზმი შემუშავებულია. ასევე, სპეციალობაში გამოცდის ტესტებთან დაკავშირებით მან ისაუბრა, რომ პროგრამა არის ახალი ექსპერტების მიერ უარყოფითად შეფასდა ის ტესტები, რომლებიც ჯერ არ განხორციელებულა და რასაც ჯერ ზიანი არ მოუტანია არც დაწესებულებისთვის და არც სტუდენტისთვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალზე და აღნიშნა, რომ მათ აკადემიური პერსონალი შერჩეული ყავთ უმაღლესი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად. დაწესებულებას მოთხოვნა აქვს აკადემიურ პერსონალთან რომ მინიმუმ ერთი სამეცნიერო ნაშრომი წარმოადგინოს. ხოლო, რაც შეეხება მოწვეულ პერსონალს, წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მას შეუძლია საკუთარი ფასდაუდებელი ცოდნა და პრაქტიკა გადასცეს სტუდენტს და არ არის აუცილებელი იყოს მკვლევარი.

უნივერსიტეტში მოქმედებს პერსონალის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც ადგენს პროგრამის პერსონალის რაოდენობრივ და თვისობრივ შემადგენლობას, მათ შორის აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობებს. რაც შეეხება ექსპერტთა რეკომენდაციას მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის საფეხურის დონესთან შესაბამისობის შესახებ, აღსანიშნავია, რომ არც ერთი საკანონმდებლო აქტი არ ადგენს აკადემიური ან მოწვეული პერსონალის რანჟირებას უმაღლესი განათლების საფეხურების მიხედვით.

საბჭოს თავმჯდომარე მიმართა საბჭოს წევრებს კითხვებისა და მოსაზრებების გამოთქმისკენ.
საბჭოს თავჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა დააზუსტა, დასკვნაში არსებული ინფორმაცია და დაინტერესდა, თუ რამდენად წარმოადგენს სამაგისტრო სწავლებაზე დასაშვებად უარყოფით მხარეს, როდესაც პერსონალი ასწავლის დარგის კონკრეტულ ერთ მიმართულებას, მაგრამ კვლევები ჩატარებული აქვს სხვა მიმართულებით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ დარგის ცოდნა და გამოცდილება სავსებით საკმარისია და შესაძლებელია აღნიშნული რეკომენდაციის რჩევების სახით განსაზღვრა, თუმცა ასევე მნიშვნელოვანია, რომ პროგრამა და ზოგადად მიმართულება წარმოადგენს სიახლეს ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში, შესაბამისად, ყურადღება უნდა გამახვილდეს ხარისხზე, ახალი პროდუქტების შექმნასა და დანერგვაზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა ყურადღება გაამახვილა ბიუჯეტზე და განმარტა, რომ 2019 წლის დეკემბერში უნივერსიტეტს მიეცა კონტინგენტის გაზრდის შესაძლებლობა 5000-მდე. დაწესებულებამ ექსპერტებს წარუდგინა ყველა საჭირო დოკუმენტი, მათ შორის ბიუჯეტიც, რომელიც გამოხატავდა უნივერსიტეტის მდგრადობასა და მზაობას, რათა მომხდარიყო მატერიალური რესურსით უზრუნველყოფა, მათ შორის, განვითარების სტრატეგიის შესრულება. შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტაცია უნივერსიტეტის ფარგლებში არსებობს და დაწესებულება გაწერილი სამოქმედო გეგმის მიხედვით ხელმძღვანელობს. შესაბამისად, დაწესებულება მაქსიმალურად ცდილობს უზრუნველყოს პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობის დაფინანსება. კვლევების მიმართულებით, წლევანდელი

მდგომარეობით გამოყოფილია 340 ათასი ლარი, რომელიც ყოველწლიურად დაახლოებით 10%-12%-ით იზრდება.
საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ დააზუსტა, თუ რა მიმართულებით ხდება სამეცნიერო კვლევების გაკეთება და რა თემებს მოიცავს პერსონალის მიერ ჩატარებული კვლევები. ასევე იგი დაინტერესდა, რამდენად არის დაწესებულების პერსონალი ჩართული მიმდინარე პროექტებში. საბჭოს წევრმა ასევე მიმართა ექსპერტებს, განემარტათ თუ რამდენად მნიშვნელოვანია ახალი კურსის ,,ოპერაციათა კვლევის" სავალდებულო კურსის სახით არსებობა და რა უპირატესობები აქვს მას.
საბჭოს წევრმა, ნიკოლოზ კიკნაძემ ასევე ყურადღება გაამახვილა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ რეკომენდაციებზე და აღნიშნა, რომ ერთ-ერთ რეკომენდაციად განსაზღვრულია სამაგისტრო ნაშრომის 30 კრედიტით გაზრდა და შესაბამისად საკონტაქტო საათების დამატება. საბჭოს წევრმა განმარტა, რომ თუკი 30 კრედიტით გაიზრდება ნაშრომი მიიღებენ 50 კრედიტს. იგი დაინტერესდა თუ რის ხარჯზე აპირებს დაწესებულება აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებას და შესაბამისის ცვლილებების განხორციელებას.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ პროგრამის მიხედვით, სამაგისტრო ნაშრომთან ერთად ხორციელდება პრაქტიკა, რომელიც თავისი შინაარსით წარმოადგენს პროექტს, რომელიც სამაგისტრო ნაშრომის მსგავსად ხორციელდება. შესაბამისად, აღნიშნული არ წარმოადგენს პრაქტიკას, რომლის დროსაც სტუდენტი თავის თეორიულ ცოდნას პრაქტიკულ აქტივობებში იყენებს. აქედან გამომდინარე რეკომენდაციის მიზანს წარმოადგენდა დაზუსტება პროგრამაში მოცემული პრაქტიკული კომპონენტის ან მისი ცვლილება. სამაგისტრო ნაშრომი საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილის, რომელიც სტუდენტს უვითარებს თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას, შესაბამისად ტექნიკური მიმართულებით, ,,ოპერაციათა კვლევა" საკმაოდ აუცილებელ საგანს წარმოადგენს. გარდა სტატისტიკური ანალიზებისა სტუდენტისთვის სავალდებულოა ექპერიმენტალური და თვისობრივი კვლევების ჩატარების ცოდნა.
რაც შეეხება პერსონალის პროექტებში ჩართულობის საკითხს, ექსპერტთა ვიზიტის დროს პერსონალი არ იყო ჩართული მიმდინარე კვლევებსა თუ პროექტებში. იყო რამდენიმე დასრულებული პროექტი და მიმდინარე პრაქტიკული პროექტები, ხოლო სამეცნიერო პროექტებში პერსონალის ჩართულობა არ იკვეთებოდა.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშრებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ვიანიდან ამ ეტაპზე პროგრამა არ ხორციელდება კონკრეტული მიმართულებით კვლევები არ არის. თუმცა, დაწესებულება ჩართულია არა ერთ პრაქტიკულ პროექტში, განსაკუთრებით ტექნოლოგიების მიმართულებით. მაგალითად, გაეროს ხელოვნური ინტელექტის და რობოტექსის ცენტრთან ერთად, უნივერსიტეტმა და პროფესორებმა, რომლებიც საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით არიან, დაიწყეს კვლევა საქართველოში ხელოვნური ინტელექტის სტრატეგიის შემუშავების მიმართულებით.
საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ მიმართა პროგრამის ხელმძღვანელს კითხვით, არიან თუ არა ჩართულები მოწვეული პროფესორები კვლევებში, აქვთ თუ არა მათ პრაქტიკული გამოცდილება და რა პროექტებს ახორციელებენ. მოცემულ შეკითხვაზე დაწესებულებამ აღნიშნა, რომ მოწვეული ლექტორების არჩევის კრიტერიუმებში მნიშვნელოვანი იყო მათი გამოცდილება, რაც ასევე აღნიშნული იყო მათ CV-ებში. მოწვეული ლექტორები არიან ბიზნეს სექტორებიდან. მხოლოდ ერთ ლექტორს აქვს ბაკალავრის დიპლომი, თუმცა ყველაზე დიდი გამოცდილება აქვს. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ როგორც აკადემიური, ასევე მოწვეული პერსონალის შერჩევა უნივერსიტეტში ხდება კონკურსით. აკადემიური პერსონალის შემთხვევაში არსებობს სავალდებულო მოთხოვნები და განისაზღვრება კანონით, ხოლო მოწვეული პერსონალის შერჩევისას დაწესებულება თავად ადგენს კრიტერიუმებს შინაგანაწესით. ორივე შემთხვევაში ისინი საუკეთესო პერსონალის შერჩევას ახდენენ.
საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა დააზუსტა, თუ რა გეგმები აქვს დაწესებულებას მოცემულ პროგრამასთან მიმართებით და როგორ არის ის შესაბამისობაში მათ სტრატეგიულ მიმართულებასთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მისიაა ხელი შეუწყოს ქვეყანაში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას, რისთვისაც დაწესებულება თანამშრომლობს საერთაშორისო მაღალტექნოლოგიურ ორგანიზაციებთან, ასევე უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან. ისინი ერთად ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებსა და კვლევებს, რომლის ბენეფიციარები და მომხმარებლები არიან არა მხოლოდ სტუდენტები და აკადემიური გუნდი, არამედ საქართველოს რეგიონში მცხოვრები სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფები. თანამშრომლობის საფუძველზე დაწესებულება მაქსიმალურად ცდილობს გაზარდოს ციფრული უნარებისა და ციფრული წიგნიერების დონე ახალგაზრდებში. პროგრამა არის ინოვაციური და უნიკალური არა მარტო საქართველოს მასშტაბით, არამედ მთელ რეგიონში, შესაბამისად სპეციალობის მიმართ ინტერესი საკმაოდ მაღალია.
საბჭოს წევრი, ბატონი ნიკა თიკანაშვილი დაინტერესდა ხორციელდება თუ არა დაწესებულებაში აღნიშნული მიმართულებით საბაკალავრო პროგრამა.
პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ დაწესებულებაში ხორციელდება საბაკალავრო პროგრამა „საინფორმაციო ტექნოლოგიები“, რომელიც სტუდენტების მხრიდან საკამოდ დიდი დაინტერესებით სარგებლობს. წინა წელს აღნიშნულ პროგრამაზე ჩაირიცხა 450 სტუდენტი. წელს ეყოლება უნივერსიტეტს კურსდამთავრებულები აღნიშნულ პროგრამაზე და დაწესებულება აკრედიტაციის გავლის შემთხვევაში სწორედ მოცემულ სამაგისტრო პროგრამას შესთავაზებს სტუდენტებს მაგისტრატურაზე სწავლის გასაგრძელებლად.
საბჭოს წევრმა, ნიკოლოზ კიკნაძემ ისაუბრა ექპერტთა მიერ განსაზღვრულ მე-7 და მე-16 რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ აღნიშნული ორი რეკომენდაცია შინაარსობრივად ერთმანეთის მსგავსია. ასევე მან დაზუსტა თუ, კვალიფიკაციათა ჩარჩოს რომელ მუხლზე აპელირებდნენ ექპერტები დასკვნაში მოცემული რეკომენდაციიდან გამომდინარე.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ საკითი ეხება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს69 ნ / დანართი 1 -ის შესაბამისობას მეშვიდე დონესთან. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ინსტიტუციამ გააძლიეროს კურსები თეორიული საკითხებით და მასში მეტად ჩართოს თეორიული საკითხების ანალიზი და მათი შედარება, რის საფუძველზეც სტუდენტებმა უნდა შეძლონ პრობლემის გადაწყვეტის ახალი გზების ძიება, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენება, რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი და ინოვაციური სინთეზი.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა თეორიული კომპონენტის გაძლიერებასთან დაკავშირებით, რომ ნებისმიერი ქმედების, დასკვნის, ანალიზის, სინთეზის საფუძველი არის არანაკლებ გააზრებული თეორიული ცოდნა. მას მაგალითად მოჰყავს ბლუმის ტაქსონომიის პირველი საფეხური და აღნიშნავს, რომ ვერ იქნებოდა პრაქტიკული უნარი მიღწეული თეორიული ცოდნის გარეშე.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17: 31
დასრულების დრო: 17: 53

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ინფორმაციული სისტემების მართვა - DevOps“-ის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენით და წელიწადნახევარში მონიტორინგის განხორციელებით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ ამოიღო შემდეგი რეკომენდაციები:

1. სამაგისტრო ნაშრომის 30 კრედიტით გაზრდა და შესაბამისად საკონტაქტო საათების გაზრდა ;
2. უსდ-მ უზრუნველყოს აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხარდაჭერა სამეცნიერო აქტივობის მიმართულებით. ხელი შეუწყოს დარგობრივი პერსონალის განვითარებას კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში მონაწილეობის მისაღებად საჭირო რესურსების უზრუნველყოფით;
3. ბიუჯეტში დაემატოს კვლევითი კომპონენტის დაფინანსება და აკადემიური პერსონალისა და მაგისტრანტების შრომების წახალისება/მივლინების ხარჯები.

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტე ბის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 31-ე მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის "ინფორმაციული სისტემების მართვა - DevOps“-ის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, 12 თვეში ანგარიშის, ხოლო 18 თვეში მონიტორინგის წარმოდგენით.

2. მეორე საკითხი: შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის "საბანკო საქმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საბანკო საქმე
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	#232 05.12.2019
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრი საბანკო საქმეში
10		-

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	
12	კვალიფიკაციის კოდი	0412
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
15	განხორციელების ადგილი	სამღერეთის ქ.5, თბილისი, 0101, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა ისაუბრა შესასრულებელ რეკომენდაციებზე, კერძოდ:

1.სასწავლო კურსის სილაბუსებში: „ფინანსური რისკების მართვა “, „კორპორაციათა ფინანსები და პორტფელის მართვა“, „საბანკო-სავალუტო ოპერაციები“, სავალდებულო ლიტერატურის ნაწილში მოითხოვს განახლებას;

2. მიზანშეწონილია სამაგისტრო ნაშრომის საკვლევი თემის შესაბამისად, გამოყენებულ იქნეს უფრო მეტი მრავალფეროვანი ლიტერატურა და უახლესი კვლევები;

3. ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით განხორციელდეს საერთაშორისო მობილობებსა და გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა აქტიურად ჩართვა;

4. დაიგეგმოს აქტივობები სტუდენტებსა და პედაგოგებში ელექტორნული სამეცნიერო ბაზების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით.

პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ სასწავლო კურსის ხელმძღვანელების მიერ სასწავლო კურსის სილაბუსებში: „ფინანსური რისკების მართვა“, „კორპორაციათა ფინანსები და პორტფელის მართვა“, „საბანკო-სავალუტო ოპერაციები“, განახლდა სავალდებულო ლიტერატურა.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „საბანკო საქმე“ განხორციელებში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მხრიდან სასწავლო უნივერსიტეტში შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომებში გამოყენებული წყაროების, ასევე ნაშრომებში უახლესი კვლევების კრიტიკულად შესწავლა-გაანალიზების საფუძველზე ბიზნესის მართვისა და ეკონომიკის კათედრის მხრიდან როგორც აკადემიურ პერსონალთან, ისე მაგისტრანტებთან მეთოდური და საკონსულტაციო სამუშაოების გააქტიურების მიმართულებით, საკვლევი თემის შესაბამისად, მრავალფეროვანი ლიტერატურის გამოყენებისა და ნაშრომების უახლეს კვლევებზე დაფუძნების აუცილებლობის გათვალისწინებით, სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებთან და სხვადასხვა წყაროებთან ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად გაფართოვდა.

მე- 3 რეკომენდაციასთან მიმართებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის მიზნით საერთაშორისო მობილობებსა და გაცვლით პროგრამებში სტუდენტთა აქტიურად ჩართვის უზრუნველსაყოფად შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის (გთუნ) წარმომადგენლების მხრიდან პარტნიორ ევროპულ უნივერსიტეტებთან, მათ შორის ლატვიის ვენტსპილსის უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან, ინტენსიური მოლაპარაკებები მიმდინარეობს. 2015 წელს გთუნ-ის და ვენტსპილსის უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე, მოცემულ ეტაპზე საბანკო საქმის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის პრაქტიკის განხორციელების მიმართულებით თითო სტუდენტის გაცვლის შესაძლებლობის განხილვის და საუნივერსიტეტო კონფერენციებში პროფესორ მასწავლებელთა ურთიერთმოწვევისა და მონაწილეობის თაობაზე შეთანხმება მიღწეულია. თუმცა მიმდინარე ეტაპზე კორონა ვირუსის პანდემიის გავრცელების შეზღუდვების გათვალისწინებით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, პრაქტიკულ შეთანხმებათა დეტალიზაცია დროებით შეჩერებულია.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა მე-4 რეკომენდაციის შესრულების საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, სტუდენტთა და პროფესორ მასწავლებელთა ელექტრონულ სამეცნიერო ბაზების ცნობადობის წვდომისა და გამოყენების უფრო მეტად გაზრდის მიზნით უნივერსიტეტმა გააფორმა ხელშეკრულება ელექტრონული ევროპული სამეცნიერო საბიბლიოთეკო სისტემის გამოყენების შესახებ; აღნიშნული ელექტრონული სამეცნიერო ბაზის პრაქტიკული გამოყენებით უნივერსიტეტის პროფესორ მასწავლებლებსა და სტუდენტებს ჩაუტარდათ პრაქტიკული მეცადინეობები, კერძოდ, ტრენინგი: „ელექტრონული საქმის წარმოების სისტემასთან მუშაობა“, ტრენინგი: „უნივერსიტეტის ელექტრონულ რესურსებთან მუშაობა“, ტრენინგი: „ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსები“. აღნიშნულ ტრენინგები რეგულარულ ხასიათს ატარებს. ამასთან, საბანკო საქმის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები გაეცნენ https://www.elsevier.com, (ScienceDirect www.sciencedirect.com, Scopus www.scopus.com, SciVal www.scival.com, Reaxys www.reaxys.com)-ის მომხმარებლებისათვის განკუთვნილ ინსტრუქციებს.

საბჭოს თავმჯდომარე მიმართა საბჭოს წევრებს კითხვებისა და მოსაზრებების გამოთქმისკენ.

საბჭოს წევრმა, ნიკოლოზ კიკნაძემ ყურადღება გაამახვილა ექსპერტთა მიერ განსაზღვრულ პირველ რეკომენდაციაზე, კერძოდ, დაინტერესდა რას გულისხობდა აღნიშნული რეკომენდაცია, ლიტერატურის თუ უშუალოდ შინაარსობრივ განახლებას.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ თემატური განახლება არ იყო მითითებული, თუმცა რეალურად, ის სიახლეები რაც დარგში განხორციელდა მნიშვნელოვანია ასახული იყო სილაბუსებში ლიტერატურის სახით. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ მოცემული რეკომენდაცია სრულიად გაითვალისწინა და გაატარა აუცილებელი ცვლილებები.
ნიკოლოზ კიკნაძემ ასევე მიმართა ექსპერტს იყო თუ არა მისთვის დამაკმაყოფილებელი სავალდებულო ლიტერატურის ორი სახელმძღვანელო, კერძოდ კორპორაცია და ფინანსები, ერთი „ცაავას და სიჭინავას“ ავტორობით, ხოლო მეორე „ლიპარტია და გელაშვილის“ და დაძლევენ თუ არა ფინანსების რისკების მართვას ამ ორი ლიტერატურით. ექსპერტმა უპასუხა, რომ ინგლისური ლიტერატურა შეძლებს მათ შევსებას და დაბალანსებას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 18:13
დასრულების დრო:18:22

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის "საბანკო საქმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
საბჭომ სრულიად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასებები.

გადაწყვეტილება
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის "საბანკო საქმის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

18:26 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა ნიკოლოზ კიკნაძემ.

3. მესამე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საზოგადოებასთან ურთიერთობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საზოგადოებასთან ურთიერთობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4		#47 12.06.2015

	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მაგისტრი საზოგადოებასთან ურთიერთობაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	
12	კვალიფიკაციის კოდი	0414
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
15	განხორციელების ადგილი	მ კოსტავას ქ. N77, თბილისი, კორპ N6, 0175, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა- ზურაბ გვიშიანმა და დიმიტრი გეგენავამ
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 9 ივლისს. წინასწარ შეთანხმებული დღის განრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფის წევრები შეხვდნენ უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელს, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, პროგრამის (საზოგადოებასთან ურთიერთობა) სტუდენტებსა და კურსამთავრებულებს, ასევე, პოტენციურ დამსაქმებლებს. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა, ბიბლიოთეკა, და კომპიუტერული კაბინეტი, რომელიც ძირითად ტექნიკურ ბაზას წარმოდგენს პროგრამისთვის. ბიბლიოთეკაში შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაამოწმა პროგრამის სილაბუსით გათვალისწინებული ლიტერატურა და საბიბლიოთეკო ბაზებთან ხელმისაწვდომობა. ვიზიტის განმავლობაში ექსპერტთა ჯგუფმა ობიექტურად, მშვიდ და კოლეგიალურ გარემოში წარმართა მუშაობა; დასასრულს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს წარუდგინა პროგრამის შესახებ მოცემულ ეტაპზე ჩამოყალიბებული ძირითადი მიგნებები.

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საზოგადოებასთან ურთიერთობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. კერძოდ: 1.1, 1.2, 2.1, 2.5, 2.6, 3.1, 3.1, 4.1, 4.3, 4.4, 5.1, 5.2 და 5.3 შესაბამისობაშია, ხოლო 2.2, 2.3, 2.4 და 4.2 მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან და მიზნებიდან გამომდინარე ექსპერტებმა შეიმუშავეს გარკვეული რეკომენდაციები, კერძოდ:

1. რამდენადაც, (მესამე ბრძანების მიხედვით) სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განმარტება ითვალისწინებს კვლევითი კომპონენტის შემდეგ მოაზრებას, -„სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი – (არის) მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი, რომელიც წარმოდგენილია სამაგისტრო პროექტი/ნაშრომის, დისერტაციის ან შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის/აქტივობის სახით“. აუცილებელია, პროგრამის სტრუქტურა შეიცვალოს იმგვარად, რომ მოცემული სამეცნიერო კომპონენტის ნაწილი წარმოადგენდეს სამაგისტრო ნაშრომის ნაწილს;
2. პროგრამის კურიკულუმში თეორიული მასალა მეტად გაჯერდეს პრაქტიკული ქეისებით (სტუდენთა მოთხოვნის შესაბამისად);
3. გამდიდრდეს თანამედროვე ლიტერატურით ძირითადი სავალდებულო სასწავლო კურსები, მით უმეტეს, რომ პროგრამა მოიცავს სილაბუსებს, რამდენიმე ევროპულ ენაზეც;
4. პროგრამა საჭიროებს დამსაქმებლებთან მჭირდო ურთიერთობას, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის კარიერული განვითარების შესაძლებლობების შეთავაზებას. ამიტომ უნდა გაღრმავდეს ურთიერთობა პროგრამის განმახორციებლებსა და დამსაქმებლებს შორის;
5. გააქტიურდეს პროგრამის აკადემიური/მოწვული პერსონალის ჩართვა სამეცნიერო კვლევით პროექტებში, მით უმეტეს რომ უნივერისტეტი ამის სრულ შესაძლებლობას იძლევა.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

დაწესებულებამ წარმომადგენელმა ისაუბრა განსაზღვრულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, კერძოდ:

პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულებაში მაგისტრატურის შესახებ, შესულია ცვლილება, რომლის მიხედვითაც, კოლოკვიუმი სამაგისტრო ნაშრომის ნაწილია და ფასდება ერთჯერადად.

მე-2 რეკომენდაციასთან მიმართებით, რომელიც პრაქტიკულ ქეისებს ეხება, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ რეაკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილ მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაში ,,საზოგადოებასთან ურთიერთობა“ არის ორი ახალი სასწავლო კურსი: „პიარ კამპანიების დაგეგმვა და მართვა“ და „ბრენდის მართვა“. აღნიშნული სასწავლო კურსები გაჯერებულია თანამედროვე პრაქტიკული ქეისებით. სასწავლო კურსები: „საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯმენტი“, „მედიასთან ურთიერთობა“, „ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაცია“ მაგისტრანტს თეორიულ ცოდნასთან ერთად აძლევს საშუალებას გააანალიზოს როგორც ადგილობრივი, ასევე მსოფლიოში წამყვანი ინდუსტრიების სტრატეგიული გეგმები და მათი შედეგები. სასწავლო კურსების შეფასების სისტემაში გათვალისწინებულია პროექტები, რომლებიც კონკრეტული პრაქტიკული ქეისების კვლევის, გაანალიზებისა და შეფასების კომპონენტებს ითვალისწინებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, რეკომენდაცია რჩევის ხასიათს უფრო ატარებს და უნდა გადავიდეს რჩევებში.

რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სასწავლო კურსების თანამედროვე ლიტერატურით გამდიდრება უწყვეტი პროცესია და ამ მიზნის მისაღწევად ხორციელდება გარკვეული პროექტები, კერძოდ, უახლესი დარგობრივი ლიტერატურის მიხედით მზადდება ჰენდაუთები ძირითადი სასწავლო კურსებისთვის; ტექნიკური უნივერსიტეტის დახმარებით იგეგმება როგორც სახელმძღვანელოების თარგმნა, ასევე ახალი სახელმძღვანელოების მომზადება. შესაბამისად, რეკომენდაცია რჩევაა და უნდა გავიდეს რჩევებში.

მე-4 რეკომენდაციასთან დაკავშრებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის“ საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ექვს დამსაქმებელთან მჭიდრო ურთიერთობის საფუძველზე, მათი რეკომენდაციების გათვალისწინებით. წარმოდგენილია მათი რეკომენდაციები წერილობითი სახით და პროგრამის საბოლოო ვარიანტთან დაკავშირებით შემუშავებული დასკვნები. პროგრამაში ჩართულ დამსაქმებლებთან კომუნიკაცია პერმანენტულად მიმდინარეობს და პროგრამის განხორციელების პროცესში კიდევ უფრო გაღრმავდება. ამავდროულად, მუდმივად მიმდინარეობს და სამომავლოდაც გაგრძელდება სხვა დამსაქმებლების მოძიება. ახალ პოტენციურ დამსაქმებლებთან მოლაპარაკება ინტენსიურად მიმდინარეობს, რაც დაწესებულების აზრით, უახლოეს მომავალში წარმატებით დასრულდება. აქედან გამომდინარე, აღნიშნული რეკომენდაცია რჩევის ხასიათისაა და უნდა გადავიდეს რჩევებში.

რაც შეეხება მე-5 რეკომენდაციას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული სამეცნიერო კვლევით პროექტებში, მაგ., ფილოსოფიისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტში შექმნილია პიარ ტექნოლოგიების სასწავლო-კვლევითი ლაბორატორია, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს მუშაობა სამეცნიერო კვლევითი პროექტზე ,,პიარი პოლიტიკაში.“ პროექტის მიზანია, აღნიშნული მიმართულების სახელმძღვანელოს შექმნა, პროექტში ჩართულია სტუ-ის აკადემიური პერსონალი და სტუდენტები. PR - ტექნოლოგიების კვლევითი ლაბორატორიის, ფარგლებში დაგეგმილია რამდენიმე კვლევითი პროექტის განხორციელება აკადემიური პერსონალის ჩართულობით. ასევე, წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ფაკულტეტის ბიუჯეტში აღნიშნული თანხები გაწერილია.

საქართველოში, სხვადასხვა დარგში მიმდინარე PR - საქმიანობის მეცნიერული კვლევა და შეფასება; აღნიშნული კვლევების საფუძველზე, პრაქტიკული ქეისების შექმნა ქართული რეალობის გათვალისწინებით; საქართველოში განხორციელებული PR - აქციების, PR - კამპანიების ვიდეო მასალების შეგროვება, შესწავლა და სისტემატიზაცია აკადემიური პერსონალის, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ჩართულობით. ზემოთქმულიდან გამომდინარე, პროფესორ-მასწავლებლების ჩართულობა კვლევით პროექტებში არის მაღალი. ასევე მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტს აქვს ამის საშუალება და მზაობა, რაც ასახულია სამოქმედო გეგმასა და ბიუჯეტში. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაციაც უნდა გადავიდეს რჩევებში.

საბჭოს თავმჯდომარე მიმართა საბჭოს წევრებს კითხვებისა და მოსაზრებების გამოთქმისკენ.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ აღნიშნა, უმჯობესი ხომ არ იქნებოდა უცხო ენისთვისა და თარგმნისთვის დათმობილი რიგი კრედიტები შეცვლილიყო დარგობრივი საგნებით ან მომხდარიყო მათი არჩევითი საგნების სახით შეთავაზება.

პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ სტუდენტები თარგმნიან დარგობრივ წიგნებსა და რიდერებს, რაც მათ განვითარებასა და პროფესიული ცოდნის გაზრდას უწყობს ხელს.

საბჭოს წევრმა, ასევე გამოყო პროექტების საკითხი და აღნიშნა, რომ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია ისწავლებოდეს პროექტების მართვა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მაგისტრანტები პროექტებს თავად აკეთებენ და მის დაგეგმვაში დამსაქმებელთან ერთად მონაწილეობენ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნულ საკითხთან მიმართებით განმარტა, რომ რიგი სასწავლო კურსები შეიცავს პროექტის დაგეგმვის საკითხებს, შესაბამისად, დაწესებულებამ სავალდებულოდ არ მიიჩნია მისი ცალკე საგნად გამოყოფა. ასევე აღსანიშნავია, რომ მიმდინარე შეფასებაში 15 ქულა ეთმობა პროექტს.

გიორგი თურქიამ ასევე დააზუსტა თუ რამდენად შეესაბამება სამაგისტრო ნაშრომისთვის გამოყოფილი კრედიტები, მისთვის განსაზღვრულ სამუშაო საათებს.

ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ სამაგისტრო ნაშრომისთვის გამოყოფილია 750 საათი, რაც ოპტიმალურ დროს წარმოადგენს. გარდა ამისა ნაშრომები საკმაოდ დიდი მოცულობისაა (არცერთი არაა 60 გვერდზე ნაკლები) და მასში ასახულია ყველ საჭირო და აუცილებელი ინფორმაცია, ტექნიკური ნაწილის ჩათვლით.

საბჭოს წევრმა, ნინო დობორჯგინიძე დაინტერესდა არის თუ არა პროგრამაში გათვალისწინებული უცხო ენის რაიმე წინაპირობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტში სტუდენტთა მიღება ხდება ინგლისურის B2 დონის ცოდნის შესაბამისად.

საბჭოს წევრმა, გურანდა ჭელიძემ რჩევის სახით აღნიშნა, რომ თვითშეფასების კითხვარში კვალიფიკაცია მოცემულია, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრი, თუმცა პროგრამაში მოცემულია მაგისტრი საზოგადოებასთან ურთიერთობებში, შესაბამისად, დასკვნაც აღნიშნული კვალიფიკაციით არის დაწერილი. აქედან გამომდინარე, სასურველია პროგრამაში ჩასწორდეს მისანიჭებელი კვალიფიკაცია. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამაში უკვე მოხდა აღნიშნული ხარვეზის ჩასწორება.

ასევე, საბჭოს წევრმა დასვა კითხვა კოლოკვიუმისა და სამაგისტრო ნაშრომის შესახებ, კერძოდ კი პროგრამაში კოლოკვიუმში მითითებული 10 კრედიტის შესახებ.

წარმომადგენელმა უპასუხა, რომ 40 კრედიტიანი კვლევითი კომპონენტია ჩამოყალიბებული, რომლის ფარგლებშიც სტუდენტი ამზადებს სამაგისტრო ნაშრომს, იცავს მეორე წლის ბოლოს, შეფასება ხდება კომისიური წესით და ერთჯერადად.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 19:08
დასრულების დრო:19:15

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საზოგადოებასთან ურთიერთობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
საბჭომ სრულიად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება

გადაწყვეტილება
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საზოგადოებასთან ურთიერთობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 6 თვეში ანგარიშს წარმოდგენით.

მე-4 და მე-5 საკითხი საბჭომ განსახილველად გადადო 2020 წლის 17 სექტემბრის სხდომაზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა